საქართველო

სურათებიანი დამატება

გაზეთის № 24 — დამატების № 5

კვირა, 31 იანვარი, 1916 წ.

სოფლის ცხოვრება.

პატარა გიძინა მერკვილაძეს

ხანჯალზე წასაწერად

ჯერ პატარა ვარ, უბირი,
მეტი არა მაქვს გონია:
ვინაც გარს ხალხი მეხვევა
ყველა მოკეთე მგონია.

როს გავიზრდები, გავარჩევ
ცალ-ცალკე ცხვარსა და მგელსა,
და მხოლოდ მაშინ დავადებ
ბასრ ხანჯალზედა მე ხელსა.

მანამდე შევტრფი ჩემ ხანჯალს,
გავფერავ-გავაკრიალებ
გამაგრებულის მკლავითა
ბრძოლის დროს დავატრიალებ,—
ვინც მიზიანებს სამშობლოს
მეც იმას დავაზიანებ.

ვაჟა-ფშაველა.

19 მარტი 1912 წელი.

ვარდის ფურცლები

ერთხელ ქალებმა იცით ჯავრი როგორ იყარეს?
ვარდი მიძღვნილი სიყვარულით არ შეიბრალეს,
დაფურცლეს ხელში და ნიავ-ქარს გადაუყარეს...

გზაზე ფურცლები მიგორავდნენ ხავერდის მგზავსი...
ვგრძნობდი ობლობას მოულოდნელს, სევდაც გულს სწვავდა;
მაგრამ მე მაინც იმ ქალებში ერთი ლამაზი,
ერთი ლამაზი, როგორც უწინ, ისევ მიყვარდა...

ქნარი.

ლტოლვა

(ნაწყვეტი)

თუ ტანჯულთ ბედი არ გაგვიღიმებს
და არ მოგვიტანს რასაც მოველით,
მაშ რისთვის მოგვცა განგებამ ლტოლვა,
ან ამა სოფლად რაღად მოველით?
რატომ არ ვყვავით ჩვენც მაისივით?
მწვავე ცრემლებად რად ვიღვენთებით?
ნუ თუ გავქრებით ვით მოჩვენება
და მზის სხივებად არ ავენთებით?

ი. დაროშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საიდუმლო მიწერ-მოწერიდან

ბავშვი ხარ, ჩემო ძველო მეგობარო, უსუსური ბავშვი! ზიხარ სადღაც მიყრუებულ სოფელში, რაღასაც ჩხირკედელაობ—ეს კოოპერაციაო, ეს ევროპიული სასუქი და გუთანიო, ეს ახალი ჯიშის საქონელიო,—და ასე გგონია, ადამიანის უუწმინდეს მოვალეობას ვასრულებ და ქვეყანას ვემსახურებიო. დღე მოსვენება არა გაქვს ღამე ძილი; სახლი თავზედ გენგრევა, მამაპაპეული მამული ვალში გეყიდება; არც ჭამა გაქვს ადამიანური, არც სმა და შენს ცხოვრებაზედ უკეთესი კი სხვა ვერა წარმოგიდგენია რა. კმაყოფილი ხარ, ბედნიერი ხარ და მეც სოფელში მიმიწვევ,—ამოდი სამკალი დიდია და მუშები გვაკლიაო.

შენ, ჩემო ძმაო, როგორც გატყობ ისევ პირველი კურსის სტუდენტად დარჩენილხარ, მე კი... მე აქ უკვე გარიგებული მაქვს საქმე: დღეს იქნება თუ ხვალ... ამაზედ ხვალ! და დღეს მე აქ ყველასაგან პატივცემულ და პატივსაცემ კაცად ვითვლები და ამასთან თვალსაჩინო მოღვაწედ; დიაღ, თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწედ!

წარმოვიდგინე შენი განცვიფრება და სიცილი წამსკდა.

— როგორ? ჩვენი „გაბღინძული“ და საზოგადო მოღვაწეობა! დაუჯერებელიაო, ყვირი, შეუძლებელიაო!

ფაქტია, ჩემო ტეტიავ, სრული ჭეშმარიტება.

კი ნუ გეწყინება, ტეტიას რომ გეძახი.

ტეტია სინონიმია გულუბრყვილო, უანგარო ადამიანისა, რომელიც თითონაც სიმართლის გზას ადგას და სხვაც ყველა სიმართლის ქურუმი ჰგონია, ტეტია სინონიმია წვერიანი ბალღისა, რომელსაც გულწრფელადა სწამს, რომ საზოგადო მოღვაწე დიდად განათლებული, ღრმად განვითარებული და უმწიკვლოდ პატიოსანი კაცი უნდა იყოს.

აბა, როგორ წარმოიდგენს შენისთანა... ბალანა, რომ საზოგადო მოღვაწეობისათვის ყოველივე ეგ მეტი ბარგია, მეტადრე ეგრეთ წოდებული პატიოსნება... მაგრამ, ზოგჯერ თქმითაც გაფუჭდებისო, ნათქვამია.

საქმე ის არის, ყველას სასურველ კაცად ეჩვენებოდე, ყველგან იყვე, ყველგან სჩანდე, ყველას თვალში უვარდებოდე; ერთი სიტყვით, ღორის თავად იქცე, რომ უშენოდ ქორწილი არ მოხერხდებოდეს.

იღლიაში პორტფელი, თვალებზედ პენსნე, ხელში კოხტა ჯოხი, ღრმა ფიქრით მოღუშული იერი და ჰაიდა! ისე უნდა მოახერხო, რომ უშენოდ არ მოხდეს არც ერთი კრება, არც ერთი სხდომა, თუნდა საკამათო საგანს მარეხის მცხოვრებთა საზოგადო წესწყობილების უვარგისობა შეადგენდეს. ყველგან უნდა იყვე, ყველას დაესწრო და შენცა სთქვა რამე. უთუოდ უნდა სთქვა რამე! რომ იცოდე, როგორ უყვართ ამ დალოცვილ ქალაქში მოლაპარაკენი! რაც გნებავს, სთქვი, სულ ერთია, ოღონდ კი სთქვი რამე. საჭირო არ არის არც ცოდნა საქმისა, არც მომზადება, არც დასაბუთება. საბუთად სრულიად საკმარია, თუ იტყვი, „მე მგონია“, ან „ჩემის აზრითაო“.

დავით აღმაშენებელი.

მაშინვე გაზეთებში ჩაგაგდებენ: სხვა „ორატორთა“ შორის კამათში მონაწილეობა მიიღო... შენი არ იყოს გაბღინძულმაო.

ერთხელ იტყვი, მეორედ, მესამედ... ალღო უნდა გქონდეს, რომ გრძნობდე საით არის ძალა, ესე იგი ჩვენი ქართული გულიანი ქადა. დიაღ ერთხელ იტყვი, მეორედ, მესამედ და, ვნახოთ, რაიმე გამგეობის წევრად კი აგირჩევენ!

ასე იციან აქა: გამგეობის წევრებს რომ ირჩევენ, იმას კი არ იკითხავენ, —ვინ არის, რა მომზადება აქვს, რას გაგვირიგებსო? შენც არ მომიკვდე! რაკი წამოდგა და „თავისი აზრი“ გამოსთქვა, ძაან-ძაან კაცი ყოფილა და სწორედ ეგ განკურნავს ჩვენს ჭირსა და ვარამსაო.

აგირჩევენ გამგეობის წევრად და... იქნება გგონია, ეს გაკმარონ და საქმიანობა მოგთხოვონ! ნუ ხარ.... შენებურად ნუ სჯი! რის საქმიანობა, რა საქმიანობა?! ხვალე მეორე გამგეობის წევრად აგირჩევენ. მერე მესამეში ჩაგჩხირავენ... საცა კი გასაკეთებელი არის რამე, ყველას შენ დაგავალებენ.

ჩვენც, რა გაეწყობა, თუ გვინდა, რომ სათავეში ვუდგეთ საზოგადო საქმეს და მოღვაწეთა სახელი ღირსეულად ვატაროთ, იმდენ საქმეს უნდა მოვეკიდოთ, რომ საქმისთვის ვეღარ მოვიცალოთ! ყველგან უნდა ვიყვნეთ, როგორც მოგახსენე, და ეს ყველგან ყოფნა იმდენად ვრცელი და ძნელია, რომ ნამდვილად არსადა ვართ! ყველგან ვჩანვართ და საქმით კი... საქმე თავისთავად მიღონღიალებს; ხან მისუსტდება, სულთ მობრძავს დაეგვანება, ხან წამოკეთდება. სიკვდილის შიში კი არა აქვს, რადგან, მადლობა ღმერთს, ჯერ მრავალია, და იმედია, მომავალში უფრო მეტი იქნება შენისთანა გულუბრყვილო მამულიშვილი, რომელიც მშიერ-ტიტველი ივლის და საზოგადო საქმისათვის კი თავის წვლილს არ დაიშურებს.

საქმეს თქვენ ასაზრდოვებთ და, თუ არის მდივანი.

შევიკრიბებით დანიშნულ დროს, ისიც თუ მოვიცალეთ; მდივანი მოგვახსენებს, თუ საქმე არის რამე; ჩვენ კიდევ განაჩენს და ვადგენთ და... მშვიდობით დღეის სწორამდე.

საქმეზედ ფიქრი, ზრუნვა და სხვა და სხვა—ეგ მდივნის მოვალეობაა და, თუ მდივანი არ გახლავთ, არავისი.

მაგრამ ისიც მოხდება ხოლმე, იშვიათად, რაღა თქმა უნდა, რომ საქმე დაუყოვნებლივ უნდა გაკეთდეს. მაშინ... შენ რომ ყოფილიყავ, დაუმკლავებდი და... ჩვენ კი... მოვიხმობთ ხოლმე საქმის მოყვარულთ. რომ იცოდე, რამდენნი არიან ქალაქში „ემაგრე შენისთანები“! საქმეს ისინი აკეთებენ, უჩინარი მუშაკნი, და რომაელ ავყურებისა არ იყოს—სახელი და სახრავი კი ჩვენი გახლავთ!

ჩვენც შევირბენთ ხოლმე, რამდენსამე წამს დავრჩებით, გადავხედავთ, გადმოვხედავთ და ახლა სხვაგან მივეშურებით.

ახლა იტყვი, მაგდენს რად ეჭიდებით? ის არა სჯობია, ერთგან იყოთ და გააკეთოთ რამე, ვიდრე ყველგან ირიცხებოდეთ და კი არას აკეთებდეთო?

როგორიც ერიო, ისეთი ბერიო, რას იზამ? აქ საქმის ერთგულს გასავალი არ აქვს და... ვიცი ჩემს წერილს არავის მისცემ, ერთგან რომ ვიყო,—ჩემი შრომისმოყვარეობა და საქმიანობა ხომ იცი—ვაი თუ იმიხთანა პანღური მკრან, რომ—აკაკისა არ იყოს—ფრაკი შემომაფხრიწონ! დღეს კი ყველგან ვარ და ვეღარ ვიცლი! აქაური საზოგადოება იმდენად შეგნებული და განვითარებულია, რომ თავის მოღვაწეთ უსაქმურობისთვის არ ემდურება.

პირიქით ვინც უფრო უსაქმურია, ვინც უფრო ყველგანა ჩანს და საქმისთვის ვეღარ იცლის, იმას უფრო მეტი პატივისცემით ეკიდებიან და ყოველთვის ცდილობენ ღირსეულად დააჯილდოვონ იმისი თავგანწირული მოღვაწეობა. ერთს დირექტორად დააბრძანებენ; მეორეს—რედაქტორად და თან სუბსიდიას დაუნიშნავენ: ე ფული ხომ არის და ჰბეჭდე, რაც გენებოსო: მესამეს რაიმე შენობის, ან სახლის მეთვალყურედ...

ახლა რიგი მიდგა ჩვენ—სახელი რა საჭიროა?—თითონ არაფერია, მაგრამ ქმარი ჰყოლია მოღვაწე და მაშასადამე თითონაც ულვაწნია...

სხედან, ჩემი ხარ ბატონი, და შეექცევიან ქადას! მერე, რა ქადას, რომ იცოდე?!

— რაო? თუ გული უვარგაო?

შენ ცოცხალი მყავდე, ჩემო ტეტიავ, თორემ ჩვენ ქადას გული ყოველთვის ტკბილი ექნება.

შენ კი ამტეხიხარ, თავი მიანებე მანდაურობას და სოფელში წამოდიო. ღმერთმა დამიფაროს!

შენი... არა, ძმავ, არას მოვაწერ, თორემ, თუ გამიგეს, სულით ხორცამდე დავიღუპები კაკალი კაცი: ვინ იცის ვის ჩაუვარდეს ჩემი წერილი*).

X.

*) ეს წერილი სრულიად შემთხვევით ჩაგვივარდა ხელში. იგი ეკუთვნის ერთს ჩვენს დიდად გამოჩენილ მოღვაწეს. ვბეჭდავთ უცვლელად. დაე მკითხველმა განსაჯოს თუ რანაირი მოღვაწენი გვყოლია და კვლავ გვყოლებიან.

სურათი

თოფ ზარბაზნის გრიალი მიწყნარდა, მის მაგივრად საზარელი გმინვა, ოხვრა ისმოდა.

ქრისტეშობისთვის უკანასკნელი ღამეა. ქარი ზუზუნებს და თოვლი ჰბარდნის. ცივა საშინლად: გვაცახცახებს.

მე და გაბო დაჭრილ დახოცილებში ჩვენს ამხანაგს დათას დავეძებთ. ერთ ადგილს მოსჩანს დამსხვრეული ზარბაზანი. ჩვენ ახლოს მივედით და ზარბაზნის ახლოს თვალი მოვჰკარით ორივ ფეხებ მოწყვეტილს სასიკვდილოდ დაჭრილ დათას.

გული შეგვიწუხდა. დათა არამც თუ მარტო ჩვენთვის, არამედ ყველა აქ მყოფ ქართველთათვის ერთი საუკეთესო მეგობარი იყო. როდესაც სამშობლოს მოშორებულთ უიმედობა და სევდა მოგვიცავდა, დათა იმ წამსვე გაგვამხნევებდა—ნუ შედრკებით, ელოდეთ უკეთესს მომავალს, ნუ დაგავიწყდებათ, რომ წარსულში რა თავგანწირვით ვიბრძოდით, ჩვენ დღესაც უნდა ვიმედოვნოთ, რომ დღევანდელმა ჩვენმა თავგანწირვამ ჩვენს სამშობლოს რამე არგოსო.

ხშირად თხრილებში მსხდომთ დათა გვიამბობდა საქართველოს წარსულ დროის ამბებს.

ჩვენს მხიარულებაზე დათამ წამოიწია, შუაზე გადაჭრილი მუხლები გაანძრ-გამოანძრია, დაჭრილი ხელები გამოგვიშვირა და დაიწყო:

— მეგობრებო, ხომ იცით მე ცხრა ბრძოლის მონაწილე ვარ, ყველგან გადავრჩი, მაგრამ მეათეზე, ბოლო მომელო, მე აწ სამუდამოდ გშორდებით, ძვირფასო ძმებო, თქვენ კიდევ იმედი უნდა იქონიოთ, სამშობლოს მიულოცავთ ახალ წელს, ნახავთ დედ-მამას ნათესავთ... მე კი უცხო ადგილს...

ვანუგეშებდით... მაგრამ ჩვენს ხელში სულს ლევდა... თვალებით რაღაცას გვეხვეწებოდა.

სიტყვას ვეღარ აგებდა. გარდაიცვალა. დაღონებულნი დავცქეროდით დასახიჩრებულ დათას. ვსდუმდით, ხოლო ჩვენს ირგვლივ კვლავ ისმოდა ზარბაზანთა გრიალი და ყუმბარები ჩვენს ახლოს სქდებოდა.

ირ-დი.

მწყემსი დედოფალი

(ოსმალურიდან გადმოკეთებული ზღაპარი) *)

ერთ თვის მგზავრობის შემდეგ, თექნამას სახლამდის ერთი კვირის სავალი გზაღა იყო დარჩენილი, როდესაც უზირმა ნახა, რომ ერთ ღამეს დედოფალს ეტლის კარი ღია დარჩომოდა, ვეზირმა მოისურვა დედოფალთან დროების გატარება, შეევიდა ეტლში და თავისი სურვილი განუზიარა. დედოფალს ძლიერ გაუკვირდა ვეზირის ამ გვარი გაბედულობა და შეუპოვრობა, დაუწყო დარიგება და უთხრა, მაგისთანა ორგულობას ნუ გაუწევ ხელმწიფესაო. მაგრამ ამაოდ ჩაიარა დედოფლის ყველა სიტყვებმა. დედოფალმა თავის გაუპატიურებას სიკვდილი ირჩია. ვეზირმა ნახა, რომ დედოფალი არა ნებდებოდა, გამხეცებულმა ვეზირმა მეფის ორივე ვაჟი დედოფლის თვალწინ დაკლა, რომ შეეშინებინა

*) იხ. 1915 წ. „საქ.“ დამატება № 10

ეროვნული ბიბლიოთეკა

× **ნ. ნიკოლაძის ქალიშვილი** საფრანგეთის წითელ ჯვარში.

საფრანგეთის სათნოების და ნ. ნიკოლაძის ქალიშვილი მეუღლითურთ.



სანგრებში ქართველი ჯარისკაცი.

და დანებებოდა. როდესაც ვეზირმა ნახა, კიდევ უარზედ იდგა დედოფალი, დამუქრებით უთხრა:

— იცოდე, ეხლავე შენც მოგკლავ, თუ არ დამნებდებიო.

ამ დროს გაშტერებული დედოფალი-კი გულჩათუთქული უყურებდა თავის ორ შვილის გვამს თუ როგორი ტანჯვით სულს ლევდნენ სისხლის მორევში და გამხეცებული ვეზირი კი იმ დროს ცდილობდა აესრულებინა თავის გულის წადილი.

ამ სურათის შემდეგ ვედრებით უთხრა დედოფალმა:

— ამაღამ დამანებე თავი, რომ ჩემი შვილები ვიტირო, ხვალ საღამოსკი შენი ნება იყოსო.

ამ დაპირებით ვეზირი მოშორდა და წავიდა თავის ბანაკში დასაძინებლად.

შუაღამისას დედოფალმა თავის ტანისამოსზე გადაიცვა ერთი ფალასი (ფარატინი) ჩუმად გამოვიდა ეტლიდან და ბანაკს მოშორდა. გამწარებულმა დედოფალმა გათენებამდის იარა. ბოლოს ერთ ქოხში დაიმალა, რომ მდევრებს არ ენახათ. როცა გათენდა მოახლეებმა ვეზირს მოახსენეს, დედოფალი არა სჩანს და მეფის შვილები-კი მკვდარნი სისხლში სცურავენო. ვეზირმა თავის დანაშაულის დასაფარავად, დაუწყო დედოფალს ძებნა, ბევრი ძებნის შემდეგ სთქვა: როგორც სჩანს დედოფალს თითონვე დაუხოცნია შვილები და გაქცეულაო. ყველამ იცით, დედოფალი ჩვენს მეფეს ტყეში ეპოვნა, ალბად ტყეში გაიქცა, რახან წინანდელი ნამყოფი ადგილები ნახაო.

დაასაფლავეს მეფის შვილები, ზედაც ერთი თვალ-საჩინო აკლდამა დადგეს. ვეზირი უკან დაბრუნდა თავის ჯარით და ამალით.

საბრალო ქალს კვლავ მოუხდა ტყეში ყოფნა. მწარედ სტიროდა და ღმერთს შესჩიოდა:

— ღმერთო! ხელმეორედ რად განმდევნე ამ უდაბურ ტყეში? რატომ არ შემიბრალე მე საცოდავიო!

მაგრამ მაინც იმედს არა ჰკარგავდა. კარგა ხნის სიარულის შემდეგ, მშიერ-მწყურვალი ქალი მოულოდნელად შეხვდა ერთს მწყემსსა და სხვათა შორის ჰკითხა:

— ვისია ეს ცხვრები?

— ერთ მდიდარ კაცისა არის, რომელსაც არავინა ჰყავს, არც ცოლი, არც შვილი, გარდა ერთი მოსამსახურისა და დამავიწყდა ერთიც კეთილ-გონიერი მამაკაცისა. ეს უკანასკნელი მეგობარია ჩემი ბატონისა, რომელიც საღამობით მოდის და ართობს ხოლმე.

საბრალო ქალი მიხვდა მაშინვე, რომ მწყემსის ლაპარაკი იმის მამას შეეხებოდა და გულამომჯდარმა ჰკითხა:

— რომელი ქვეყნიდანა ხარო?

— მე შორი ქვეყნიდანა ვარ მოსული, მეცხვარეობით უნდა შევაგროვო რამდენიმე მანათი და მერე დავბრუნდე შინაო.

რადგან ქალს კაცის ტანისამოსი ჰქონდა გადაცმული და თმებიც ქუდში ჰქონდა ჩატანილი, მეცხვარე ვერ მიხვდა, ვინ იყო მასთან.

— ძმაო, უთხრა ქალმა მწყემსსა,— ახლა რომ მე ორასი თუმანი მოგცე, წახვალ შენ ქვეყანაში? არა?

— ერთს საათსაც აღარ გავჩერდები, მაგრამ ცხვრებს რა ვუყო? პატრონს უნდა ჩავაბარო თუ არაო?

— მაგისათვის ნუ სწუხაარო,—მიუგო ქალმა,—ცხვრებს პატრონთან მე თითონ წავლალამ, შენ კი წადი შენს ქვეყანაში—გზა დამილოცნიაო. შემდეგ ამოიღო ორასი თუმანი, ჩაუთვალა ხელში და უთხრა:

— სახსოვრად დამიტოვე შენი ქუდი, ტყაპუჭი, გუდა და კომბალიო.

მწყემსმა საჩქაროდ გადასცა რაც ქალმა სთხოვა, შემდეგ გამოემშვიდობა და გაუდგა თავის გზასა.

დროებამ დედოფლად აქცია და დროებამვე, იმავე დედოფალს მწყემსის სამსახური არგუნა!

მისთვის არის ნათქვამი: **„ქვეყანა ცვალებადიაო“.**

დედოფალი მწყემსის ტანისამოსში გამოეწყო, აიღო ხელში კომბალი და საღამო ხანს დაირეკა ცხვრის ფარა და გასწია დიდი ხნის უნახავ და დანატრებულ მამის სახლისაკენ.

ბატონმა შეამჩნია მწყემსი გამოცვლილიყო და ჰკითხა მიზეზი ახალ მწყემსსა.

— ბატონო! მე თქვენი მწყემსის ძმა გახლავარ, ჩემი ძმა შინ გავგზავნე, რადგან საჭირო საქმე გამოუჩნდა. თუ ისურვებთ იმის მაგიერად მე გემსახურებით ამის შემდეგაო, უთხრა ქალმა.

თექნამას მოეწონა მწყემსის სიტყვა-პასუხი და ნება დართო მწყემსად ყოფნისა.

ახალი მწყემსი ერთგულად ასრულებდა თავის მოვალეობას. ხშირად ჰხედავდა ხოლმე ქალი თავის მზრუნველად ნამყოფ გაიძვერა მეზობელს, ფარისეველს, რომელიც მალ-მალ დაიარებოდა იმის მამის სახლში. იქ, სმა, ჭამა და დროების გატარება არა ჰკლებია. ჰხედავდა ქალი ყველა ამას და გული ნაღვლით ევსებოდა, მაგრამ თავის ვინაობის გამოაშკარავებას დრომდე ვერა ჰბედავდა.

ხელმწიფემ რა ნახა ვეზირის ასუ მალე უკან დაბრუნება, დედოფლისა და შვილების თან არ ყოლა, გაკვირვებულმა ჰკითხა მიზეზი ვეზირსა:

— სად არის დედოფალი და ჩემი შვილები?

— ბატონო! ერთის თვის სავალი გზა გავიარეთ, თითქმის დედოფლის მამის საცხოვრებელ ქალაქსაც ვიყავით მიახლოვებული, რომ ერთ ბნელ ღამეს ამდგარიყო დედოფალი, თავისი შვილები მოეკლა და გაპარულიყო. მდევრები გამოვუყენე, ბევრი ვეძებეთ, ტყეში, ღრეში, მაგრამ ამაოდ; ვერა ვნახეთ! თქვენი შვილები დიდის გოდებით დავკრძალე, ზედ აკლდამა ავაგე და დავბრუნდიო, მოწიწებით უპასუხა ვეზირმა.

ხელმწიფე ძალიან შეწუხდა და არ იცოდა რა ეთქვა, ბევრნაირი ეჭვი ებადებოდა თავში. ბოლოს თავის მოადგილედ სხვა დასტოვა, თან წამოიყვანა იგივე ვეზირი და წავიდა იმ ადგილის სანახავად, საცაც მისი შვილები იყვნენ დამარხული. ბევრი გლოვა-ურვის შემდეგ მეფემ უთხრა ვეზირსა:

— ახლა მე და შენ უნდა წავიდეთ დედოფლის მამის სახლში, იქნება მამასთან იყოს მისული, თუ იქ ვნახე, უცილოდ მოვკლავ იმ ბოროტ სულს, რომ მით ჩემი შვილების სისხლი ავიღოვო!

ვეზირს არ ესიამოვნა მეფის გადაწყვეტილება და უთხრა:

— ბატონო ჩემო! ის ქალი ხომ თქვენ ტყეში იპოვეთ, ალბად ახლა

ბრძოლის ველზე. ქართველი ოფიცრები და ექიმები. მათ შორის ნიკო კობიაშვილი და ექიმი იშხნელი.

ვანო მაღალაშვილი პრაპორჩიკი, მოჰკლეს ოსმალეთის ასპ.

ბრძოლის ველზე. ქართველი ოფიცრები ოსმალეთის მხარეს.

ტყე რომ ნახა, კიდევ იქ ყოფნა ირჩია, ეტყობა გრძნეული უნდა ყოფილიყო.

რახან აქამდის მოვსულვართ, ჩემი უკან დაბრუნება ახლა შეუძლებელია, ვიდრე ვყელაფერს დაწვრილებით არ შევიტყობ.

მეტი რა გზა ჰქონდა ვეზირსა ნება უნებლიედ დამორჩილდა.

ერთ კვირაზე მივიდნენ იმ მთაზე, სადაც მწყემსი დედოფალი მამის ცხვრის ფარას აძოვებდა. როცა მწყემსს დაუახლოვდნენ, დედოფალმა მაშინვე იცნო ისინი, ისრეც დაუვიწყარი ნაღველი, მათი ნახვით გაუორკეცდა და დაიწყო ტირილი.

ხელმწიფემ მწყემსი რასაკვირველია ვერ იცნო და მისვლისათანავე ჰკითხა მიზეზი ტირილისა:

— ჩემ ცხვართაგან ერთმა ორი ბატკანი შვა, მაგრამ მე და ჩემმა ძაღლმა ვერ ვიფხიზლეთ, მოვიდა მგელი და ორივე დაგლიჯა, როცა მე ბატკნები სისხლის მორევში ვნახე, გული ამიდუღდა და მისთვისა ვსტირიო, მიუგო მწყემსმა.

— ჰოი მწყემსო! მაშ იმ კაცმა რალა ქმნას, რომელმაც თავისი ორივე შვილი რომ ნახოს დახოცილი?!

ამ სიტყვებზე იმათ სიბრალულის თვალით შეხედეს ერთმანეთს, და ორთავემ თვალთაგან ცრემლები ჩამოყარეს.

— ბატონებო! აქეთ სად მიბრძანდებოდით? ჰკითხა ბოლოს მწყემსმა.

— აქ ახლო ქალაქში გვინდა წასვლა ერთი ვაჭრის სანახავად, ღამესაც იმასთან გავატარებთო, სთქვა მეფემ.

დედოფალი მიხვდა, რომ იმის მაშის სახლში უნდოდათ ჩამოხტომა, ამიტომ ჰკითხა:

— რომელ ვაჭრის სახლში გსურთ ჩამოხტომა?

— თექნამ ვაჭრისა, მიუგო მეფემ, რომელსაც ერთი ქალი ჰყოლია და ისიც დაუკარგავს.

— მაშ ჩემთვის კარგად მოგიგნიათო,—უპასუხა მწყემსმა, აი ეს ცხვრები იმ ვაჭრისაა და მეც ამისი მწყემსი გახლავართ. აგერ რვა წელიწადია იმასთანა ვარ, (განგებ იცრუა დედოფალმა, რომ იმათ ეჭვი არ აეღოთ), საღამო მოახლოვებულია, და თუ რომ ისურვებთ, ერთად წავიდეთო. დასთანხმდნენ ისინიც და ცოტა ხნის შემდეგ წავიდნენ ერთად თექნამის სახლში. თექნამმა მოულოდნელი სტუმრები დიდი პატივისცემით მიიღო და გულიანათაც გაუმასპინძლდა. თექნამას ერთგული ფარისეველიც იქ იყო და საუბარში ისიც იღებდა მონაწილეობას.

საბრალო დედოფალ-მწყემსი-კი, იქ თავისთვის ჩუმათ და დაღონებული ყურს უგდებდა იმათ ლაპარაკს.

თექნამმა სთხოვა თავის ერთგულ მეგობარს, ახალ სტუმრების გასამხიარულებლად ერთი კარგი ზღაპარი ეთქვა.

ხელმწიფესაც და ვეზირსაც დედოფლისაგან გაგონილი ჰქოგდათ, რომ მჭერმეტყველი კაცი იყო, ამიტომ იმათაც სთხოვეს, ეთქვა ზღაპარი. ფარისეველმა დაიწყო შემდეგი მოთხრობა, რომელშიაც სამი საგულისხმიერო დარიგებაა მოყვანილი.

პირველად: საქმის გაუშინჯავად და გამოუძიებლად ნურას ჩაიდენ.

მეორე: ბევრის მომდომი ცოტასაც დაჰკარგავს, ანუ ცოტასა ზედან სარწმუნო იყავ, მრავალსა ზედან დაგადგინო შენ.

მესამე: ქვეყნის ქონება არის ჭკუა, თუ რომ კაცს შნო და ხერხი აქვს, ქონების შეძენა ძნელი არ არის.

სმენა იყოს და გაგონებაო, სთვაქ ფარისეველმა; ნათქვამია: კარგის მთქმელს კარგი გამგონიც უნდა, კარგი მსმენელი ცოტასაგანაც ბევრს აზრს გამოიტანს.

მოთხრობა ფარისევლის მიერ.

ერთ ქვეყანაში ცხოვრობდა დედის ურჩი ერთი ახალგაზრდა ვაჟი, რომელიც არას ზოგავდა, რომ აესრულებინა თავის გულის წადილი და მუდამ ტოლ-ამხანაგებთან დროს გატარებაში იყო თუ რამეს იშოვიდა. ბოლოს ისე გასაწყლდა, რომ პურის ფულსაც ვეღარ შოულობდა. დასასრულ დაიწყო ცხენით წყლის ზიდვა სახლებში, რომ დღიური სარჩო ეშოვნა. ნათქვამია: „ზომიერობის მცოდნე და საქმის მცოდნე, საწყლად არ დარჩებაო“

ერთს დღეს, როდესაც ამ ვაჟმა ერთ მდიდრის სახლში წყალი მიიტანა, თვალი შეავლო სახლის პატრონის ერთად ერთ ლამაზ ქალს, რომელიც აივანზე გადმოყუდებულიყო. ქალის სილამაზემ ძლიერ მოხიბლა ამისი გული და აღარ იცოდა რა ექნა. ბოლოს გუნებაში გადასწყვიტა, რომ ის ქალი ცოლად შეერთო.

მივიდა შინ და თავის დედას გაუზიარა თავის გადაწყვეტილება.

მისმა დედამ კარგად იცოდა, რომ ტყუილად პირს შეირცხვენდა, მდიდარი იმის შვილს ქალს არ მიათხოვებდა და ამიტომ უთხრა შვილსა:

— შვილო! ჭკუაზედ ხომ არ შეშლილხარ? რის იმედითა თხოულობ მდიდრის ქალს. ნიშნად რა უნდა წაუღო? რა ხელობის პატრონი ხარ? შენ შენი თავი ვერ შეგინახია და ცოლი რიღათი უნდა არჩინო?

— ეგ მე ვიცი როგორც შევინახამ! და თუ შენ არ წახვალ არვიცი რას ვიზავო—გადაჭრით უთხრა შვილმა.

რაღა გაეწყობოდა, დაღონებულმა ბებერმა წამოისხა დაგლეჯილი შალი. მივიდა მდიდრის სახლში, ქალბატონი მოიკითხა და პირდაპირ უთხრა დიასახლისს:

— ჩემი შვილი თქვენს ქალსა თხოულობს და იმისთვის გიახელით, რომ გავიგო მისცემთ თუ არაო? ჰკითხა კრძალვით ბებერმა.

— დედი! ჯერ ერთა, ჩემს შვილს არ ვიცნობთ რა კაცია, მეორე, ვიცით რა ხელობისაა, ნასწავლია, თუ უსწავლელი, აბა რა გითხრა, უპასუხა დიასახლისმა.

— ქალბატონო! მიუგო ბებერმა,—ჩემი შვილი ერთი საწყლის შვილია, ხელობითაც წყლის მზიდველია, არც ქვეშ აბადია რამ და არც ზედა.

მე არ მსურდა თქვენი შეწუხება, მაგრამ დამემუქრა ჩემი შვილი, რა მექნა, იძულებული მოველ თქვენთან.

— მე ვერას გეტყვი უთხრა დიასახლისმა: ცოტა ხანი მოითმინეთ სადაც არის ჩემი ქმარი მოვა და როგორც სახლის უმფროსი, იმას უთხარიო.

(შემდეგი იქნება)

ალ. იაკ. ახალციხელი.

მილოვი და ადილხანოვი (გულ-ამოსკვნით მღერიან)
თაგვმა თხარა, თხარა,—ციხე გამოთხარა!



მოდი ვნახოთ ჯაბარი,
მას ებარა შაქარი!

მიველ ვნახე შაქარი,
გამხდარიყო ჯაბარი.

კარიკატურა ა. ციმაკურიძისა.

ნება დართულია სამხედრო ცენზურისაგან

რედაქტორ გამომცემელი **სანდრო შანშიაშვილი.**